საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიასა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შორის თანამშრომლობის შესახებ

შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა

მუხლი 1. შეთანხმების ზოგადი პრინციპები და საფუძველი

1.1. საქართველოს კონსტიტუციისა და 2002 წლის 14 ოქტომბრის საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების პირველი მუხლის, პირველი და მე-2 პუნქტების საფუძველზე, საქართველოს სახელმწიფო და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია, უფლებამოსილნი არიან გააფორმონ შეთანხმება ერთობლივი ინტერესების სფეროში თანამშრომლობის შესახებ.

1.2. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში თანამშრომლობის მიზნით, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიასა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შორის ფორმდება წინამდებარე შეთანხმება.

1.3. საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას (შემდგომში - ეკლესია), წარმოადგენს სრულიად საქართველოს კათოლიკოს - პატრიარქი, მთავარეპისკოპოსი მცხეთა-თბილისისა და მიტროპოლიტი ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთისა, ხოლო საქართველოს სახელმწიფოს - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) წარმოადგენს მინისტრი.

1.4. ეკლესია და სამინისტრო, ადასტურებენ რა ეკლესიის უდიდეს როლს ერის სულიერ განვითარებაში, მზად არიან ურთიერთთანამშრომლობით ხელი შეუწყონ:

1.4.1. ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის სრულყოფას მზრუნველობამოკლებული და სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის, ოჯახურ ან ოჯახურ გარემოსთან მიახლოებული პირობების შესაქმნელად (მათ

შორის, ეკლესიის დაქვემდებარებაში მყოფ სააღმზრდელო დაწესებულებების პირობებშიც).

1.4.2. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროს სრულყოფას; კერძოდ, თავის მზრუნველობას დაქვემდებარებულ პირთათვის (განსაკუთრებით არასრულწლოვანი ბავშვებისათვის) შესაძლებლობის ფარგლებში ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო სტანდარტების დანერგვას და სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებულ მომსახურებაზე ხელმისაწვდომობას.

1.4.3. სოციალურად დაუცველ ხანდაზმულთათვის მაღალი სტანდარტის ოჯახურ გარემოსთან მიახლოებულ ხანდაზმულთა სახლების შექმნას.

1.4.4. ბავშვთა ჯანმრთელობის გაუმჯობესებისა და სიკვდილიანობის შემცირების მიზნით ერთობლივი ღონისძიებების გატარებას.

1.4.5. სოციალურად დაუცველ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური და ჯანმრთელობის პრობლემების მოგვარებისათვის ზრუნვას.

1.4.6. მაღალმთიან და საზღვრისპირა რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის ავადობის შემცირების მიზნით პრევენციული გასინჯვების უზრუნველყოფას.

1.4.7. ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდასა და ცხოვრებაში დანერგვას.

1.4.8. სამედიცინო დაზღვევის როლისა და ხელმისაწვდომობის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას.

1.4.9. მემორანდუმით გათვალისწინებულ საკითხებზე, საპატრიაქოსა და სამინისტროს მონაწილეობით ერთობლივი ღონისძიებების ჩატარებას, საჭიროების შემთხვევაში ერთობლივი კომისიების შექმნას.

მუხლი 2. მხარეთა თანამშრომლობის პრინციპები, ფორმები და საგანი

2.1. მხარეებს შორის თანამშრომლობა ეფუძნება ურთიერთპატივისცემისა და თანასწორობის პრინციპს.

2.2. თითოეული მხარე იღებს ვალდებულებას, მეორე მხარეს შეუფერხებლად მიაწოდოს მისთვის საინტერესო ინფორმაცია.

2.3. თითოეული მხარე იღებს ვალდებულებას, მოიწვიოს მეორე მხარე მის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაზე, რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს მეორე მხარის ინტერესის საგანს და რომელიც ეხება ამ მემორანდუმით გათვალისწინებულ თანამშრომლობის სფეროს.

2.4. მხარეებს შეუძლიათ ერთობლივი პროგრამებისა და პროექტების შექმნა, Eერთობლივი სემინარებისა და სამუშაო შეხვედრების განხორციელება ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში.

მუხლი 3. მხარეთა ვალდებულებები:

3.1. სამინისტრო იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს:

3.1.1. ეკლესიას დაქვემდებარებულ სააღმზრდელო დაწესებულებებში მყოფი ობოლი და მზრუნველობამოკლებული ბავშვებისათვის შესაბამისი სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებული მომსახურების თანაბარი ხელმისაწვდომობა.

3.1.2. ბავშვზე, ხანდაზმულზე და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირზე ზრუნვის სფეროში დაგეგმილი და განსახორციელებელი რეფორმების შემუშავებისა და განხორციელების პროცესში ეკლესიის მაქსიმალური ჩართულობა.

3.1.3. ეკლესიას დაქვემდებარებული სააღმზრდელო დაწესებულებების აღსაზრდელთა ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნების, შვილად აყვანის, მინდობით აღზრდის ან სხვა სამზრუნველო დაწესებულებაში გადაყვანის საკითხების განხილვისას, შესაბამისი ეპარქიის წარმომადგენლების მოწვევა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს რეგიონულ საბჭოებში.

3.1.4. ეკლესიას დაქვემდებარებული სააღმზრდელო დაწესებულებების აღსაზრდელთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილება მიიღება საბჭოს წევრთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, პირველ რიგში საპატრიარქოს წარმომადგენლის დასაბუთებული პოზიციის გათვალისწინებით.

3.1.5. სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში, უმწეო ხანდაზმულებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის ეკლესიას დაქვემდებარებულ საპატრონაჟო დაწესებულებებში შესაბამისი მომსახურების თანაბარი ხელმისაწვდომობა.

3.1.6. საპატრიარქოს დაქვემდებარებაში მყოფი სამედიცინო დაწესებულებების ქვეყნის ჯანდაცვის სისტემაში ინტეგრირება.

3.1.7. ქვეყნის ჯანდაცვის სისტემაში პაციენტთა რელიგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ხელშეწყობა.

3.1.8 კანონმდებლობით დადგენილი წესით, საპატრიარქოს დაქვემდებარებაში არსებული სამედიცინო დაწესებულებების სრული და თანაბარი ხელმისაწოვდომობა:

3.1.8.1. ქვეყანაში არსებულ ფინანსურ რესურსებზე;

3.1.8.2. სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის საინფორმაციო სისტემებზე;

3.1.8.3 სამედიცინო პერსონალის და ადამიანური რესურსების განვითარების პროცესებზე;

3.8.1.4.სხვადასხვა საკონსულტაციო და სათათბირო ორგანოებში მონაწილეობაზე;

3.2. ეკლესია იღებს ვალდებულებას:

3.2.1. მოახდინოს ეკლესიის დაქვემდებარებაში არსებული საპატრონაჟო დაწესებულებების საქმიანობის კანონმდებლობით განსაზღვრულ სალიცენზიო/სანებართვო პირობებთან შესაბამისობაში მოყვანა და სათანადო ლიცენზიის/ნებართვის აღება.

3.2.2. მის დაქვემდებარებაში არსებულ სააღმზრდელო დაწესებულებებში მოხვედრილი ობოლი, უპატრონო (ქუჩის) ან მიტოვებული ბავშვის შესახებ კანონით დადგენილ ვადებში ინფორმაციის მიწოდება მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანოსათვის.

3.2.3. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს სოციალურ მუშაკთან ერთად ბავშვისა და მისი ბიოლოგიური ოჯახის მდგომარეობის შეფასება.

3.2.4. ეკლესიას დაქვემდებარებული დაწესებულებების აღსაზრდელთა ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნების, შვილად აყვანის, მინდობით აღზრდის ან სხვა სამზრუნველო დაწესებულებაში გადაყვანის საკითხების განხილვისას მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს რეგიონული საბჭოების მუშაობაში მონაწილეობა.

3.2.5. საპატრიაქროს დაქვემდებარებაში არსებულ სამედიცინო დაწესებულებებში:

3.2.5.1.ქვეყნის საინფორმაციო სისტემის ფარგლებში განახორციელოს საჭირო ინფორმაციის მიწოდება და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოს სამედიცინო მომსახურების სტანდარტების დანერგვა .

3.2.5.2. სამედიცინო მომსახურების პროცესში წარმოქმნილი დარღვევების შემთხვევაში უზრუნველყოს სამედიცინო საქმიანობის მარეგულირებელი სამსახურების შეუფერხებელი მუშაობა და ხელმისაწვდომობა სამედიცინო დოკუმენტაციაზე.

მუხლი 4. შეთანხმების ოფიციალური გამოქვეყნება და ძალაში შესვლა

4.1. წინამდებარე შეთანხმება ექვემდებარება ოფიციალურ გამოქვეყნებას.

4.2. ეკლესია შეთანხმებას გამოაქვეყნებს „საქართველოს საპატრიარქოს უწყებანში“, ხოლო სამინისტრო - სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

4.3. წინამდებარე შეთანხმება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4.4. შეთანხმებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება მხარეთა შეთანხმებით.

უწმიდესი და უნეტარესი

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მთავარეპისკოპოსი მცხეთა-თბილისისა და მიტროპოლიტი ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთისა

ილია II

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის

მინისტრი

ანდრია ურუშაძე

---

28 სექტემბერი, 2011